დანართი №1

დამტკიცებულია:
სსიპ პროფესიული კოლეჯი მოდუსის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2018 წლის 23 მაისის №44 ბრძანებით

---------- /დ. გოშაძე/

სსიპ პროფესიულ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. სსიპ პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შენობა ნაგებობა ფართით: სასწავლო კორპუსი /სასარგებლო ფართი/–4434.54კვ.მ და სასწავლო სახელოსნო /სასარგებლო ფართი/ - 2375,85კვ
2. კოლეჯს აქვს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B,C,
3. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იქნას განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B ან B და C ან A და C გარემო.
4. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით;
5. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია „სასკოლო ტიპის" განლაგებით, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერებით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით;
6. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.
7. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისიწინებით, მაქსიმუმ ორ ცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
8. პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტებთან შესაბამისი მემორანდუმები გრძელვადიან თანამშრომლობაზე და ხელშეკრულებები კონკრეტული ჯგუფებისთვის კონკრეტული მოდულების განხორციელების შესახებ;
9. 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
10. კონტიგენტის რაოდენობის გამნსაზღვრელ მეთოდოლოგიას თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს დაწესებულება პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად, რასაც წარუდგენს ავტორიზაციის ექსპერტებს, რომელთა

დასკვნა განიხილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე და მისაღები კონტიგენტის რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას გამოსცემს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.